ს.ს.ი.პ. იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

12/02/2024

MES 8 24 0000141641

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**სსიპ იაკობგოგებაშვილისსახელობისთელავისსახელმწიფოუნივერსიტეტში
კანცელარიის მთავარი სპეციალისტის(არქივარიუსი) ვაკანტურითანამდებობების
დასაკავებლად კონკურსისგამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე და შტატგარეშე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების (წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N26 14/03/2018 ოქმი N5) , სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსის მანანა ბეჟანიშვილის სამსახურებრივი ბარათის (N 128830 08/02/2024 წ.) საფუძველზე:

**ვბრძანებ**

**1.** გამოცხადდეს კონკურსი სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში კანცელარიის მთავარი სპეციალისტის (არქივარიუსი) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად;

**2.** წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგინდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად (რომელიც თან ერთვის წინამდებარე ბრძანებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს);

**3.** წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა საკონკურსო დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე (ადმინისტრაციის ხელმზღვანელის სახელზე);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია ქართულ ენაზე (CV);

ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი (სასურველია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი);
ვ) ცნობა არქივში მუშაობის შესახებ (არანაკლებ 6 თვის);
ზ) ცნობა ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ“.

**4.** კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:
ა) საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა;
ბ) გასაუბრება.

**5.** კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყოს 2024 წლის 13 თებერვალს და დასრულდეს 2024 წლის 23 თებერვალს;

**6.** საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე #206-ე ოთახში, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;

**7.** წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა განხორციელდეს 2024 წლის 26 თებერვალს;

**8.** კანდიდატის საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება ჩატარდეს 2024 წლის 28 თებერვალს 12:00 საათზე;

**9.** ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის კანცელარიას;

**10.** დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;

**11.** დაევალოს ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

**12.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

**13.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი / ადმინისტრაცია
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
რამაზაშვილი სოლომონ